

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

VII ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, ტესტის III ნაწილში მოცემულია ორი დავალება. უნდა აირჩიოთ და შეასრულოთ ერთ-ერთი მათგანი (დავალება N1 ან დავალება N2).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 45 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ. **გაითვალისწინეთ**, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ელენე ყიფიანი

ელენე ყიფიანი გახლდათ დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი. იგი გვერდში ამოუდგა მამას ისეთ საქმეში როგორცაა ქართული თეატრის აღდგენა. დიმიტრი ყიფიანის ოჯახში ატარებდნენ რეპეტიციებს, სდგამდნენ წარმოდგენებს. ყველა ამ ღონისძიებების აქტიური მონაწილენი იყვნენ დიმიტრის შვილები. ელენემ სცენაზე გამოსვლითა და ნიჭიერი თამაშით დიდად შეუწყო ხელი ქართულ თეატრის აღორძინებას.

ელენე ყიფიანის თაოსნობით ადგილი ჰქონდა ქალთა ლიტერატურულ-მთარგმნელობითი წრის ჩამოყალიბებას. ახალგაზრდა ქალებმა ვინც აქ იყვნენ გაერთიანებულნი მიზნად დაისახეს უცხოური ლიტერატურის თარგმნაგამოცემა. კრებული რომლის პირველი ნომერიც 1872 წელს დაიბეჭდა, გამოდიოდა სახელწოდებით – „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“. სწორედ ამ კრებულში გამოქვეყნდა პირველად ელენეს თარგმანები. ამ გზით იგი ახალ თაობას აცნობდა უცხოურ ლიტერატურას, აზიარებდა ევროპულ კულტურას.

ელენე ყიფიანი მრავალი საზოგადოებრივი საქმიანობის მოთავე და აქტიური მონაწილე იყო. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობელების შეკრებისა და ნოტებზე გადატანის საქმეს რასაც საგანგებოთ აღნიშნავდა იაკობ გოგებაშვილი. ელენე იყო ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე. იგი არამარტო მოსწავლეების განათლებაზე ზრუნავდა არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდა მათ.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ხშირად ადამიანი უფრო იმას ირჩევს, რაც ადვილი გასაკეთებელია და დიდ ენერჯიასა და ხასიათის სიმტკიცეს არ მოითხოვს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გაანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გამწვანდება, თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება N 1

ყურადღებით წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „კაი ყმა“:

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არავის არა სწყენოდეს?
ვინა, ვინ არი კაი ყმა,
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?

მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ხალხზედა ღელავდეს,
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ – მტერსა,

ხმლები, ხანჯრები ელავდეს.
სისხლის ტბა მუხლებს სწვდებოდეს,
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;
ფარების დადგეს ჯღრდეები,
თვალეები თვალეებს სწველავდეს;
მოციქულობდენ ტყვიანი,
შუბები შუბებს სწვერავდეს.
ჭიაფრად მუზარადებსა
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;
დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს.

ვინც მიეგებოს მტერს წინა,
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,
სახე-სისხლ-გადამდინარი
ტკივილს არ გამოიტყოდეს,
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,
ზედ ქორებულად ფრინავდეს,
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.

პირველად ომის დამწყები
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;
სხვანი იყოფდენ ნადავლსა,
ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს;
მიძღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსვე სწირავდეს.

დარაჯად ედგას ლაშქარსა,
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს.

მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.
იქ იდგეს ხმალ-ამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვაღავდეს,
გაბეჩავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძალავდეს.
სხვისა იუბნოს სახელი,

თავის გარჯასა ჰმაღავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა,
უხვად შუქს ჩამოჰლაღავდეს.

სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს, არა გმინავდეს;
თავის სამარხად, სუდრადა,
მარტო სახელსა სწირავდეს.

ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა,
მკვდრისა ვსვათ შესანდობარი.
წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად – სამარი,
საკაცე – თავის ლურჯადა,
ქვა-ლოდი – ნაბდად საფარი,
ქალისა, რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა – ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი.

სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლალი ლალისა ცხენითა,
წინ მიუძლოდეს არწივი
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.
ქება უყივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.
ანგელოზები ხარობდენ,
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.

აი, ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძლებითა,
ღამე მამღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა,

თავის ჯამს ჩასცქერო, საქვეყნოდ
არცროს არ გამასდგებიო.
თავისად სცოცხლობო, მცონარედ,
ლეში ალალოთ, ჰკვებდითა;
გაიგებოთ კარგის გარჯასა,
გწყინსოთ და შურითა ჰსქედებითა;
უქმად ჩამაჰლევოთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავოთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა.
არ იცით დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ „კაი ყმის“ მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ლექსის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება N2

ყურადღებით წაიკითხეთ რეზო ჭეიშვილის მოთხრობა „ბიძია“:

ამ გაზაფხულსა და ზაფხულის დამდეგს, საკავშირო ჩემპიონატის გახსნამდე, ერთმანეთის მიყოლებით ჩამოვიდნენ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან. ეს პროცესი შეიძლებოდა ოფიციალური ჩემპიონატის წინა მოსამზადებელ პერიოდად სახელდებულიყო. მატჩებს წვრთნის ხასიათი უფრო ჰქონდა, მაგრამ ქალაქში მაინც საფეხბურთო ბუმი იდგა.

პატარა სტადიონს მაყურებელი არ აკლდა, ტრიბუნაზე ნემსის ჩასაგდები ადგილი არ რჩებოდა და სტადიონს მიმდგარი კერძო სახლების აივნებიც, ლოჟების მაგივრობას რომ სწევდა, ხალხით ივსებოდა. გამოუტანდა მასპინძელი სელის სავარძელს საპატიო სტუმარს, დასვამდა მოაჯირთან ახლო და ცივ წყალსაც სკამთან მიუდგამდა დაორთქლილი გრაფინით.

უბილეთო ბავშვები ისევ გუნდ-გუნდად ვწრიალებდით სტადიონის შემოგარენში. მექანიკური სახელოსნოს გარდა, ათასი ხვრელ-დარანი და გადასასვლელი მქონდა შეგულებული. ერთ-ერთი უეჭველად ამართლებდა, თუ არა და ხის ტოტზეც ბევრჯერ შემოვმჯდარვარ ფრინველივით.

რას წვალობო, მითხრა ჩემმა ძველმა სკოლელმა მელიხიშვილმა. მე ყოველთვის შესასვლელი ჭიშკრიდან შევდივარ წესიერადო.

ბილეთი თუ მექნა, მეც შევალ-მეთქი.

– ბილეთი თუ გექნა, შეხვალ კი... – ჩაბჭირდა მელიხიშვილი. ვერ გავიგე ვერაფერი.

– უბილეთოთ შევდივარ პირდაპირ მთავარი შესასვლელით... – ცრემლი ამოიწმინდა მან, სიტყვა მთავარს ხაზი გაუსვა, თუმცა სტადიონს მეტი შესასვლელი არ ჰქონია და მთავარიც ის იყო და მეორეხარისხოვანიც.

როგორ შედიხარ-მეთქი, აღარ მოვეშვი.

– როგორ და მშვენივრად, მიყურე და დაინახავ!.. თხოვე რომელიმე ბიძიას, შემიყვანე ბიძიათქვა და ის თუ არა, სხვა მაინც გაგიყოლიებსო. ისე უნდა მოიქცე, ვითომ იმ ბიძიას შვილი ხარ ან ძმისშვილიო. თვითონ ბევრი აღარ დაუხანებია და აედევნა ერთ თვალეზგადმოკარკლულ, სქელ კაცს, რომელსაც ჭონია უკლებამ ორივე ჯიბე ამოუტრიალა ჭიმკართან მისვლამდე.

– შემიყვანე რა, ბიძია!

ბიძია შეყოყმანდა, მკლავზე გადაფენილი საწვიმარი გაისწორა, საკუთარ ბილეთს დახედა, ერთის მეტი არ მაქვსო, უნდოდა ეთქვა, თუმცა მალევე გაერკვა შექმნილ სიტუაციაში, მელიხიშვილს ხელი ჩასჭიდა და სტადიონზე შეიძლოა თანმოყოლილი გერივით.

ნიშნისმოგებით მომიხედა ჭიმკართან გაჩერებულმა, სამშვიდობოს გასულმა მელიხიშვილმა. ხელით მანიშნა, შენც ჩემსავით მოიქეციო და რამდენიმე ბიძაც შემირჩია შორიდან. შევგულიანდი, ხან ერთ ბიძიას გავხედე, ხან მეორეს, მაგრამ თავი შევიკავე. აღარც ისეთი პატარა ვიყავი, ასე სამოწყალოდ რომ ავტორღიალებოდი უცნობ ადამიანს, თანაც არც სხვას, ჩემს ტოლს და ჩემზე პატარასაც ამისდაგვარი არაფერი ჩაუდენია ჩემი იქ ყოფნის დროს. ვიფიქრე, ვიფიქრე და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ეზოდან გადავიპარე სტადიონზე. ხალხით გაჭედილ ტრიბუნებს როცა ჩავუარე, დასაჯდომებს შორის გაკვეხებული მელიხიშვილიც დავინახე.

– ჩავჯდები რა, ბიძია! – ეხვეწებოდა იგი ვილაცას.

– მოდი, ბიძია, მოდი! – დაუძახა ვილაცამ. ვილაცამ ვილაცა შეავიწროვა და მელიხიშვილი ჩაეჭეჭყა ორ ტანსრულ მამაკაცს შორის დასავლეთის ტრიბუნაზე, ცენტრში, ადმინისტრაციული ლოჟის ქვემოთ. მე წავედი და კარს უკან ვიწრო კიბეზე გავეჩხირე, საიდანაც ორჯერ გამომავდეს კინწისკვრით.

ლამაზი, ნებიერად გაზრდილი ბავშვი ცნობილი თვალის ექიმის ბესარიონ მელიხიშვილის ერთადერთი შვილი იყო. თან ჰყვებოდნენ სიბერეში გაჩენილ პირმშოს მშობლები. მამას, გამოჩენილ ოფთალმოლოგს, ორივე ქუთუთოს დამბლა ჰქონდა. ტროსტით ხელში გამოდიოდა ხოლმე ბალის კიდეზე. თავაწეული იდგა აკაკის ძეგლთან და ნაცნობ-მეგობრებს ესაუბრებოდა, გამვლელ-გამომვლელს აძლევდა სალამს მომხიბლავი ღიმილით. სათნო გამომეტყველების, ჭადარათმიანი, წარმოსადეგი მამაკაცი, ბატონოს გარეშე რომ არ აბრუნებდა ენას, ოქროს სპეკულაციაში, კრიმინალურ სამყაროსთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ორმაგ თამაშში იყო შემჩნეული. დამაგნიტებული კამათლები და ელგაყვანილობით გაწყობილი ნარდი

აუფეთქდა შუალამისას, შუა თამაშში, მაგრამ მის რეპუტაციაზე, კარგი მამისა და პირიანი კაცის სახელზე, ამ ფაქტსაც არ მოუხდენია ზეგავლენა. ენაწყლიან, თავაზიან ადამიანთან წაგებაც უხაროდა ზოგიერთს და მისი ტყუილი სხვის მართალს ერჩივნა. სამაგიეროდ შვილს ზრდიდა კეთილსინდისიერად, წესრიგისაკენ, კაცთმოყვარეობისაკენ, სათნოებისაკენ მოუწოდებდა თავისებურად; სწავლა-განათლებისაკენ უბიძგებდა და კერძო მასწავლებლებით გარშემორტყმულ პირმშოს ყურადღებას არ აკლებდა.

მელიხიშვილი უმცროსი კი ბიძიას ძახილით შედიოდა კინოში, თეატრში, სტადიონზე, ცირკში და ყველგან, სადაც შესვლა აუცილებელი ან სასურველი იყო. რომელიღაც ბიძიამ წაუკრა ხელი სკოლის ოქროს მედალზე, ბიძიამ უბიძგა სამედიცინო ინსტიტუტში, ლენინგრადის ასპირანტურაში, ბიძიამ დააცვევინა საკანდიდატო, სადოქტორო, ბიძიამ გაამწესა იმ დიდ თანამდებობაზე, სადაც ახლა იგი ზის და კეთილსინდისიერად ეხმარება უამრავ ბიძიაშვილებს, ბიძიაშვილების შვილებს, ბიძიაშვილების შვილიშვილებს. ვალს გადახდა უნდა და იხდის კიდევ პატიოსნად.

ასე უნდა ცხოვრებო, ამბობენ ამნაირ კაცზე.

ასე უნდა, ცხადია.

გაუმარჯოს მელიხიშვილს, ჩემს თანაკლასელს: გაუმარჯოს მელიხიშვილის ცოცხლად დარჩენილ ბიძებს, გაუმარჯოს მელიხიშვილის ბიძიაშვილებს, ბიძიაშვილების შვილებს, ბიძიაშვილების შვილიშვილებს, პატარ-პატარა მელიხიშვილებს, ვაშა!

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ უმცროსი მელიხიშვილის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!